წელიწადი I-ლი | კვირა 23 იანვარი | ფასი 30 მან.

# ბათომის ცხოვრება

გაზეთი ღირს თვიურად . . . . 800 მან.
განცხადების ფასი:
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 30 მან.
4 " " " . . . 45 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.
ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთად.
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია მარინეს პროსპ. საბაშვილის სახლებში, ქვედა სართულში.
რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 10 ს. 12 საათამდე.

№ 16 | ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო | № 16

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო"
ნ. დ. ბროძელ-სხირტლაძის
პარასკევიდან 21 იანვრიდან ამერიკული კინო-რომანი
მორის ლებლანისა
# წითელი ბეჭედი.
11 ეპიზოდათ 22 ნაწილათ.
მთავარ როლს შეასრულებს კაროლი ეკრანის რუფ როლანი.
ანონსი: სამშაბათიდან 25 იანვრიდან ახალი პროგრამა წითელი ბეჭედი 4 და 5 ეპიზოდი.

ელექტრო-თეატრი „ტ რ ი უ მ ფ ი"
თეატრი მოწყობილია საზამთროთ
ამერიკული სისტემით, მყუდროთ და თბილათ.
პარასკევიდან 21 იანვრიდან ახალი სენსაციური გამოცვლა სურათებისა
# ბეჭედი სირცხვილისა
დრამა 4 ნაწილათ პროლოგით
დასასრულ ინგლისური ხიმაგრე
ანონსი: მზადდება დასადგმელათ 25 იანვრიდან ქ ა ლ ი გ ა მ ო ც ა ნ ა

მე-4 ქეეითა ათასეული ნიშნავს 26 იანვარს 1921 წ. დილის 12 საათ.
# საჯარო ვაჭრობას
ათასეულისათვის ხორცისა და სხვა სანოვაგის მოსაწოდებლათ
საჯარო ვაჭრობა მოხთება ათასეულის შენობაში; ცნობების მიღება შეიძლება ათასეულის საბინაო ნაწილში, არტაანის ყაზარმებში ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე.
ვაჭრობა მოხთება დახურულ ბარათებით, საჭიროა ერთი მილიონი საწინდარი.
35 3—3

ბათომის ფრონტის
# დამხმარე მთავარი კომიტეტი
აცხადებს, რომ ყოველ გვარი ფულების თუ ნივთების შეკრება ფრონტის სასარგებლოდ ამიერიდან სწყდება.
კომიტეტი სთხოვს ყველა იმ პირთ, რომელთაც ხელთ აქვთ სიები თუ წიგნაკები უკანვე დაუბრუნოს ფრონტის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარეს, დაწვრილებითი ანგარიშების გამოსაქვეყნებლად.
31 3—3

კვირას, 23 იანვარს, დილის სრულ 10 საათისთვის ბარცხანის ყაზარმებში დანიშნულია
ბათომის გვარდიელთა
# საერთო ყრილობა
დღის წესრიგი: 1) მოხსენება რესპუბლიკის სახალხო გვარდიის საერთო ყრილობის შესახებ, 2) მოხსენება ადგილობრივი შტაბის მუშაობის შესახებ და 3) სასამართლოს დაარსება.
დასწრება ყველა გვარდიელთათვის სავალდებულოა
33 3—3 სახალხო გვარდიის ბათომის საოლქო შტაბი.

ბათომის ქალაქის საჯარო ვაჭრობის
# დ ა რ ბ ა ზ ი
აუწყებს ბათომის მოქალაქეთ, რომ კვირას, 23 იანვარს, 1921 წ. დილის 10 საათზე დანიშნულია
# საჯარო ვაჭრობა
გაიყიდება ოქროს და ვერცხლის ნივთები, ძურძლები, ტანისამოსები და სხვა. დარბაზი ღებულობს ნივთებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან დღის 3 საათამდე.
გასაყიდ ნივთების ნახვა შეიძლება კვირას 23 იანვარს დილის 9 საათ.
დარბაზი მოთავსებულია ქალაქის თვითმართველობის სახლში ყოფილი ქალაქის ლომბარდის ბინაზე.
34

## ქართველ სტუდენტის დღე.

ოცდა ექვსი იანვარი ქართველი სტუდენტის დღეა. ამ დღეს ჩაეყარა საძირკველი მეცნიერების ტაძარს—ქართულ უნივერსიტეტს.

## მთელი საქართველო დღესასწაულობს ამ დღეს.

ბათომში დღესასწაული მიიღებს შემდეგ ხასიათს:

ყულაბებით ფულის შეგროვება, შემოწირულების შეკრება, უმთავრეს კაფე-რესტორანებში, კინოებსა, თეატრში და ცირკში 0/00 გადაიდება სტუდენტების სასარგებლოთ, შმაევსკის თეატრში გაიმართება გრანდიოზული საღამო ნინა აიოლის, გრ. აიოლის, ს. ბარტენიევის, მოცეკვავეთა დუეტი გიში და ფლერი, სახელმწ. თეატ. მსახ. ე. ვრონსკის და ქართული დასის მონაწილეობით

## 26 იანვარს სასწავლებლებში სწავლა არ იქნება.

## სტუდენტობა და მოწავლე ახალგაზდობა მუსიკით გამოვლენ ქუჩაში.

საზეიმო მსვლელობის წესი:

მოსწავლეები რიგრიგათ დაწყობილი თავს მოიყრიან ტეხნიკურ სასწავლებლის ეზოში, სადაც მათ დახვდებიან სტუდენტობა

დილის 11 საათზე ტეხნიკურ სასწავლებლიდან, სმეკალოვის და ზღვის ქუჩით ინტერნაციონალის პროსპექტით მსვლელობა მივა აზიზიეს მოედანზე, სადაც გაიმართება მიტინგი.

პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებს რომელთაც სურთ მიესალმოს ქართველ სტუდენტობას წინადაწინ უნდა ჩაეწერონ მიტინგის თავმჯდომარესთან.

მოუწოდებთ ამხანაგ სტუდენტებს, ვაჟებსა და ქალებს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ დღესასწაულის მოწყობაში.

დღესასწაულის მომწყობი კომისიის სხდომები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე საბაევის სახლში (პირველი სარ. ინტერნაციონალის და დუნ-კორის ქუჩ. კუთხე). სასურველია კომისიის წევრებს გარდა სხდომებს რაც შეიძლება მეტი ამხანაგები დაესწრონ.

ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 4—8 საათამდე.

დღესასწაულის მომწყობი კომისია.

## ბათომი, 23 იანვარი.

ბეშმა იტად ძნელია აზერბეჯანსომხეთთან სახელმწიფო ნორმალ ურთიერთობის ჩამოგდება. რუსულ „ჩრეზვიჩაიკის" მადლით მოსილი ბაქო-ერევნელები ისეთივე ენით აქებდენ, როგორითაც ლაპარაკობენ მოსკოვის კომისრები.

ა! საბრალოთ ავიწყდებათ, რომ 100 მილიონიან რუსეთს გაუძლება და ბუნტარობა იმდენს ვერ დააკლებს, რამდენსაც მცირე რიცხოვან სომხეთს და აზერბეიჯანს. აწ

წითელ ცეცხლის მნთებელი ბაქოელი და ერევნელი ვაი თუ ისე წახდენ, რომ ისტორიამ მათი სახე სრულიად გააქროს და მეორეველმა ბოლშევიზმმა მათ დასატირებლად პანაშვიდიც არ გადაიხადოს. მაგრამ ამაზე ფიქრი და პასუხისგება მათი საქმე იყოს. ჩვენ ვლაპარაკობთ ამ ახალ ფორმაციის საბჭოთა სახელმწიფოს საქართველოსადმი ყოვლად დაუშვებელ დამოკიდებულებაზე. დამარცხებული სომხეთი, რომელიც ოსმალთა მახვილისგან თავის დასაღწევათ გაბოლშევიკდა თბილისის გუბერნიაზე გვედავება. ღმერთო წინაშე კაი მადის ხალხია სომხები!.. ბაქოს საჭურისტი პოლიტიკოსები განაგრძობენ ჩვენს მატარებლების და ბრიგადების ტყვეობაში დატოვებას.

ქართველმა ერმა უწყის რომ ყველაფერი ეს ხდება უმიზეზოდ და უნაყოფოდ ქრება ქართველ დემოკრატიის ცდა წითელ ატრუებულ ბაქო ერევნის „ჩრეზვიჩაიკების" მიმართ, რომ ამიერ-კავკასიის ერთა შორის სოლიდარობა იქმნას დაცული.

საქართველო დღეს სდგას ისეთ მდგომარეობის წინაშე როცა მან თავის ძალღონით ერის უფლებები და ქონებანი ხელ უხლებელ უნდა ჰყოს ბაქოს და ერევნის მეკობრეთაგან. მთავრობა, რომელიც არჩეულია დამფუძნებელ კრებისგან და ერის ნების ყოფით არის აღჭურვილი, ვერ დაუთმობს ბაქოს მტაცებელთ მთელ რიგს საქართველოს მატარებლებისას და აი კიდეც გადადგა მან მტაცებელთა მიმართ შესაფერი ნაბიჯი საქართველოს ტერიტორიაზე მთავრობის ბრძანებით ბაქოდან ჩვენი მატარებლების დაბრუნებამდე დაპერილად იქნება გამოცხადებული მთელი ის ქონება, რომელიც ეკუთვნის აზერბეიჯანს და სომხეთს. ქართველი ერი, რომელიც შეწუხებული იყო ბაქოში ჩვენი სახელმწიფო ქონების დატყვევებით, სიხარულით მიეგებება მთავრობის ამ ნაბიჯს.

შესაძლოა ასეთმა ზომებმა მაინც მოახდინოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის უაზრო ნოტებით ვაჭრობის ლიკვიდაცია.

და ილოდენ ბაქოს და სომხეთის მესვეურებმა რომ პოლიტიკაში ბოლშევიკობა მეტად სახიფათო საქმეა.

მოსკოვის იმედით ისინი ტყუილათ აფორთხებენ იმ ჭაში, რომლიდანაც წყლის დალევა მათთვის აუცილებელი იქნება.

განსაკუთრებით ერევნის წითლები რომელთაც თავის ცოლშვილი ისევ თბილისში ყავთ.

და იწამონ მათ რომ საქართველოს მიმართ პოლიტიკური კომედიანტობა მათ სარგებლობას ვერ მოუტანს.

ცუდი მოამაგეების ჩასძახებით ნუ ჩასტეხენ ისტორიულ სამეზობლო ხიდს და თუ ჩვენ რჩევას არ იკადრებენ ბოლშევიკურად ამაღლებულნი ბედნიერნი მაშინ ის დაიხსოვნონ რომ საქართველოსთან ხუმრობა საფათერაკოა.

## მოკლე შენიშვნები.

გუშინ მე შევადარე ერთმანეთს ცენტრი და პროვინცია და აღვნიშნე უკანასკნელის კულტურულათ ჩამორჩენა—გამობეცება.

დღეს ცხოვრებამ სავსებით გაამართლა ასეთი შეხედულება

მხოლოთ ერთი შესწორებით.

სინამდვილემ ამ მხრივ პირდაპირ ამხილა ბათომი.

ეს პროვინციალური ჩანჩალის განხორციელებული გამოხატულება.

მე გუშინ ცენტრად ვგულისხმობდი ჩვენს დედა თფილისს, თუმცა შორს ვიყავი ბათომის სოფელთან გათანასწორებისგან.

და სწორეთ მოვსტყუვდი!

გურიის ქედებში მიმალული სოფელიც არ იკადრებს ბათომთან შედარებას!

თქვენ რომ ეს მოინდომოთ, გურიის სოფელი მწარეთ ნაწყენი დარჩება.

მე ვიტყვი მოურიდებლათ:

ბათომმა სჭამა სირცხვილი!!

ამ მოქეიფეთა ქალაქმა ვერ შესძლო ერთი [illegible] მოზიარებამდე ამაღლება

ჩანს აქ სახელმწიფო ცოცხის მოქმედება დროებით შეჩერებულა და ქალაქის გაწმენდაც მიუტოვებია.

ბათომმა დღეს სამარცხვინოთ დაიმსახურა მკაცრი საყვედური.

მან ვერ შესძლო ხელოვანის დაფასება.

„მოდი მნახეს“, „მარანს“ და „არტილის“ ვერ მოცილდა და მთელი თავისი სული და გული წითელ ნუნუას ანაცვალა.

დიდი წარმოდგენის ყოფილა ჩვენი ნიჭიერი მხატვარი თოიძე ბათომის საზოგადოებაზე.

ის გვეწვია ჩვენ მთელი თავისი კეთილშობილური აღმაფრენით, მან საკუთარი ხელით მოგვიტანა და დაგვიწყო თვალ წინ ხელოვანის ზეციურ განცდის განსახიერებული გამოხატულებანი.

სიყვარულით ანთებული სულით მოვიდა ის ბათომში და ჩვენი დამამცირებელი გულცივობის შუქი გაჰყვება მას აქედან!..

ამ ჩვენი სამოთხის პირველ კარებიდან!.

ოდვა მხილებული სჯობია...

ჩანს რამდენათ ლამაზია ბუნებრივათ მშვენიერი ბათომი, იმდენათ ულაზათო და გაუტანელია მისი მოქალაქენი..

თოიძის გამოფენა არ უნახავს აქაურ ფართე საზოგადოებას.

არ მიუქცევიათ ჯეროვანი ყურადღება მისთვის იმათაც, ვისაც ეს ევალებოდა, ვისაც ეს მოეთხოებოდა!

აქაურ პედაგოგებს!

გამოფენის სიმდიდრე, შესასვლელი ფასების გასაოცარი სიმცირე დაბალი, თვით მხატვარის დიადი ნიჭი და წარსული,—არც ერთი ეს აქაურ საზოგადოებას არ აინტერესებს, რადგან ამისთვის ის სრულიად მოუმწიფებელია.

გამოფენის სანახავათ მოვიდა ევროპიელები.

თოიძის 6 წლის ვაჟმა, ამ ფენომენალურმა არსებამ რამდენიმე წუთის განმავლობაში დახატა უცხო მანდილოსანი.

სურათი საუცხოვოა, სიუმარი გაოცებულია და გაკვირვებული შეჰყურებს ბავშვს.

უცხო ქალი აჯილდოებს ამ საზღაპრო მხატვარს და მოკრძალებით ეუბნება მის მამას, მხატვარ თოიძეს:

—„გთხოვთ უფრთხილდეთ ამ ბავშვს“...

ჩვენს ქალაქში შემთხვევით გამვლელი უცხოელი ასეთ კეთილ გრძნობებს იჩენს ხელოვანისადმი და ეს იმ დროს, როდესაც აქაური ჯიბე გატენილი ქართველი ცირკებს და ყავახანებს ვერ გაშორებია..

სირცხვილი ჩვენი.

მე ღრმათ მწამს ჩვენი თოიძის შეუდრეკელობა.

ის რუსების მგოსანს არ მიბაძავს და არ იტყვის:

„Какое дѣло поэту вѣрному до васъ,
„Въ развратѣ каменѣйте смѣло
„Не оживитъ васъ лиры гласъ!“.

ხალხის გულცივობა მას ვერ შეაშინებს!

პირიქით, ის მეტის იმედით, მხნეობით და მოთმინებით დაუახლოვდება მას.

რადგან მან იცის, რომ ხალხში შესული ხელოვნების ღმერთი ზეციური სიტყვით შესძლებს მის ამაღლებას და სულიერათ გამომთელებას...

ქ. ფირცხალაიშვილი.

## შინა მრეწველობისთვის.

გარეშე მტრებს გადაწყვეტილი აქვთ საქართველოს ეკონომიურ კრიზისით გატეხა.

საქართველოს უმწვავესი ტკივილი ახლა ეკონომიური გასაჭირია.

საყოველთაო ეკონომიურ კრიზისს ჩვენ წინააღმდეგ ემატება ბაქოს ავანტიურა. საქართველოს საკუთარი ნავთი არ აქვს და ამიტომ ჩვენ ბაქოს ახალ მოდის პოლიტიკოსებზე ვართ დამოკიდებულნი.

ბაქო ახირებულ მდგომარეობაში გვაყენებს. ის არ ასრულებს ხელშეკრულებას იჭერს ჩვენს მატარებლებს და ნავთს არ იძლევა,

ეს გარემოება ჩვენ გვიბრძანებს განსაკუთრებულ სიმხნევით შევუდგეთ საკუთარ საშვალებებით თავის დაკმაყოფილებას.

თანდროულ მერყევ მსოფლიო ვითარებაში დაუნდობარია გარეშე ქვეყნიდან შემოზიდვის გზა.

სურსათის საკუთარი მომარაგების მხრით მთავრობამ საყურადღებო ნაბიჯი გადადგა. მთავრობის დეკრეტის ძალით სურსათის კრიზისის თავის დასაღწევად უნდა დაითესოს ყველა მიწები.

ამის მსგავსი რადიკალი ნაბიჯი გვჭირია ეკონომიურ სფეროშიც და განსაკუთრებით კი შინა მრეწველობის შესაქმნელ დასაყენებლად.

ყველა ზეპირად გავიძახით საქართველოს თვით სიმდიდრეს რომ ტეხნიკის ენა შეეხოს და ისინი გადამუშავდეს კაპიტალურად არა თუ საქართველოს ეყოფოდა არამედ დიდძალ გასაზიდ საქონელსაც დავამზადებდით.

ეს ასეა მაგრამ ჩვენი მოუწყობლობით ჩვენ შინა მრეწველობის სფეროში უკიდურეს კრიზისს განვიცდით.

მცირე გვაქვს სათბობი შეშის ქვეყანაში ჯერ ვპოულობთ შეშას, არ არის სათანადოთ განვითარებული ქვანახშირის ამოღების საქმე, ხოლო ნავთის საქმეს ჯერ ჩვენში არც კი შევხებივართ.

შინა მრეწველობის საკითხი პირველ რიგში უნდა დასვას საქართველომ.

ჩვენივე ინიციატივით უნდა დავიწყოთ საკუთარ თვით მრეწველობის მოწყობა და გაინტენსივება.

საქართველოშივე ნავთის დამუშავების საკითხი პრაქტიკულად უნდა დასვას ამა თუ იმ საზოგადოებამ. ელექტროფიკაციის საკითხი უნდა დაჩქარდეს.

საქართველო შესწავლილ და გამოკვლეული უნდა იქმნას გამოვარკვიოთ თუ სად რა სიმდიდრეა ჩამარხული. ერობები, ქალაქის თვით მართველობები და ყველა ისინი ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ეროვნული თვით არსებობა კაბინეთებიდან გარე უნდა გამოვიდენ და შავ საქმეს მოჰკიდონ ხელი, რეალური კეთება დაიწყონ. კერძო საზოგადო და სახელმწიფო კაპიტალი უნდა შევანაწევროთ შინა მრეწველობის გასაჩაღებლად.

[illegible] თუ ისინი ამას საკუთარ ინი- ვით ვერ იზამენ მაშინ მათ მ- ბამ უნდა მიჰმართოს შესაფ- ნადადებით.

საქართველო მაგარია პო- კურად, საქართველო უძლ- ფრონტზე. ეს დაინახეს მტ- და მოყვარებმაც ამიტომ არ- ისინი ყოველ მხრივ ცდილ- რომ ჩვენ ეკონომიურ ტ- მოგვაქციონ.

დღეს ჩვენ წავრსდექით ახ- მოცდის წინაშე და ვამბობთ, არ არის მდგომარეობა რომ- გამოსვლაც არ შეიძლებოდეს. მხოლოდ საჭიროა პრაქტ- თვით მოქმედება საქმე, სა- ისევ საქმე. თეორიული ძიებ- არ გამოგვადგება სასწრაფოდ დაპირ საქმეს უნდა შევუდგეთ. ნილი დუხჭირი პირობები უ- ნელად გვაფრთხილებს ჩვენ, ვიანება დამღუპველია.. დღევან- ლოზუნგად უნდა იქცეს საკ- ძალ-ღონით შინა მრეწველობის მნო!..

ჩვენს განკარგულებაში მყო- შუალებებით ცხოვრების მოთხ- ლებათა დაკმაყოფილება.

ი.

## იტალიის პრესა ტყვარ- ლის კონცესიის შესახ-

„ჟურნალ დ' იტალია“- ნოემბრის ნომერში) მოთავსებ- წერილი შემდეგი სათაურით: „- ლია უზრუნველყოფილია მ- მნიშვნელოვან ქვანახშირის ნით.“

„ამ დღეებში ხელმოწერილი კონცენცია, რომლის ძალითაც ლიას ეძლევა ტყვარჩელის ქ- შირის რაიონის ექსპლოატ- უფლება, ამ კონცენციას, რომ- არის დიდი გამარჯვება ჩვენი ნალური ინიციატივისა უცხ- სხვა ძლიერ ჯგუფების მეტოქ- კონფერენციაზე, ხელი მოაწერეს თველოს მთავრობის სახელით

## ქართული ლიტერატურა.

სულიერი ვითარება ერისა ფრიად საინტერესოა.

ერი ყოველთვის ცდილობს დააფასოს ის სახეები რომლებიც მარავანდედით მოსილებით ჩაივლიან მის წინაშე და ერის სულიერ საუნჯეში, ერის სიწმინდის ტაძარში ზეგარდმო ნიჭის ღვაწლი შეაქვთ.

ახლო წარსულში საქართველო სცოცხლობდა მხოლოდ ლიტერატურაში, ქართული ძიება მაშინ დევნილ კალამის ენით ლაპარაკობდა.

საქართველოს საოცნებო პრობლემები მაშინ იშლებოდა პუბლიცისტიკაში და ქართულ ყოფას პესიმისტურად თუ ოპტიმისტურად პოეზიაში და პოეტიკაში უმღეროდენ.

მაშინ გვყავდენ ბუმბერაზი მწერლებიც, რომლებმიც სცხოვრობდენ მიწაზე შეეძლოთ ნამდვილი განცდა საქართველოს ცის ქვეშ და მათი ჰანგი ბუნებრივად შეჰარმონიებული იყო ქართველი ერის ჰანგთან, გულის სიღრმესთან.

ნიკოლოზ ბარათაშვილი საქართველოს ისტორიის გარდატეხის ლანდაზმოვლენილი პოეტი, რომელმაც მდუღარე ცრემლი დაყარა „ქართლის ბედის გადაწყვეტას“, ქართულ სინამდვილის პირმშო იყო და მას ქართველი ხალხი ახლო იცნობს.

საქართველოსთვის ის გაუგებარი არასოდეს არ ყოფილა

ილია მაღალ მრწამსის კაცი, სრული სახება მეცხრამეტე საუკუნის ქართველ ეპოქისა ხედავდა რა საქართველოს ორ ზანაკად გაყოფას ჩატეხილ ხიდს ამთელებდა და სიკეხიან დღეში თბილისელ მუშის მუშურს უმღეროდა.

ილია ჭავჭავაძე ქართველ ხალხში სცოცხლობდა და საქართველო მას იცნობდა.

აკაკი გადაგვარების გზაზე დამდგარ საქართველოსთვის დედის ნანინის მომღერალი, მთელი ხალხის საყვარელი მწერალი იყო და მისი სახელი ყველამ იცოდა.

ვაჟა ფშაველა წარმომადგენელი „ქართულ სიმბოლიზმისა“ ქართული ბუნებას არ განშორებია. იგი თუშეთის და ხევსურეთის მთებიდან ამღერებდა თავის ჰანგს. ი. ევდოშვილი რომელმაც შეაერთა მშრომელ ხალხის და ერის ტრაგედიის მწუხარე იმ სახალხო ჰანგით მღეროდა, რომელიც ყოველ ჩვენგანს ესმოდა, ე. ნინოშვილი ტანჯულ გლეხის ქომაგი და რევოლუციონერი ყველასთვის ნაცნობი სახეა.

მიკლეთ არც ერთი მწერალი მე 30 წ. თუ მე 60 ან 90 წლებისა დროის და სივრცეს არ განშორებია. ჰანგი მათი ჟღერდა ერის იმ დროის მყოფლობის სარკის წარმოსადგენად. ეს მწერლები ემსახურებოდენ ლიტერატურის თანდათანობით წინსვლის, ქართველ ერს აძლევდენ ისეთ სულიერ საკვებს რომლის მონელებაც მის გონებას შეეძლო. არც ერთ მწერალს აზრად არ მოსვლია თავის ხალხის პირუტყვად გამოცხადება და თქმა იმისა, რომ შენ ჩემი ჰანგის არა გესმის რა. ახლო წარსულის მწერლები პირიქით ხალხის ოხვრას და მაჯის ცემას გადიტანდენ თავის ჰანგის სიმებზე

თანდროული მწერლობაც სწორი გზით მიდიოდა წინ, ა. შანშიაშვილი ილიას და ბარათაშვილის სკოლას ავითარებს ი. გრიშაშვილი გრძნობას ამღერებს და სიყვარულს უგალობს სულ სხვა ის მიეწონება თუ არა ფართე მასას მათი ხმა უდავოა, რომ ყველასათვის გასაგებია ა. შანშიაშვილი დასტირის ძველ საქართველოს, აქანდაკებს ძველ სახეებს და ოცნებით ფრენს წარსულის სინამდვილეში

ი. გრიშაშვილი თბილისის სიბერის პოეტია, იგი თავს დასტრიალებს ჩუღურეთს და ავლაბარს თუმცა მისი ხმა ხშირად მთელ საქართველოსაც ეხება, გ. ქუჩიშვილს ხალხის მკერდში ჩაუხედია, მისი ხელი მშრომელ მასის ვაებაში ნაზარდ ვარდყვავილებს ჰკრეფს და ეკითხება თუ რას ჰსურთ.

ქუჩიშვილი ხალხთანაა, მისი სიმღერა ხალხის მოთქმაა. ქუჩიშვილი რეალისტია, მშრომელთ სიამდვილის პირმშოა როგორც დავინახეთ ახალ მწერლობაში ზემოჩამოთვლილ მწერლებს გარკვეული სახე აქვთ და მათ გასაგებათ ხალხს განსაკუთრებული ლექსიკონი არ დასჭირდებათ.

მაგრამ ქართველ ხალხს ჰყავს აგრეთვე ერთი მოდგმის მწერლები ე. წ. „ბოლშევიკი“ მწერლები: ტიციანები, პაოლოები, კოლაუები, რადიაუები და მიწიშვილები. ყველას ახსოვს თუ, რარიხით გამოვიდენ ეს ჩიტირეკია ინტილიგენტები 1916 წ. ქუთაისში. პირველი ყუმბარა ამ „მწერლობის ტერორისტებმა“ ქუთაისში ჩააგდეს, იქ გამოსცეს „მწვანე ყანწები“ თითონ მოირთვენ მწვანეთ, ჩულქები მწვანე, ტუჩები მწვანე, გულიმწვანე, სული მწვანე, შემდეგ დაორსულდენ და შვეს ახალი პოეზია რომელიც გადმოიტანეს თბილისის „ქიმერიონში“. ეს მეხუთე წელია ეს ხალხი გაჰყვირის, რომ საქართველოს ახალი მწერლობა ისინი არიან, სხვები ყველანი კვდებიან, მაგრამ მათი „კატაფალკები“ წითელი ხარები და შავი კატები ახდენენ რევოლუციას ქართულ მწერლობაში, ქართული მწერლობა მათია. მათი „რევოლუციის“ ნაყოფია ორსული მზე და ჭლექიანი მთვარე.

რა შემატა ამ ახირებულმა ხმა ქართულ მწერლობას? სა- დოების რომელმა ნაწილმა გ- მათი ენა თავის სიმღერად?

მაგრამ სუფრებზე გრა- ვის დამწვარ ქალებში შეიძლ- რი ყავდეთ თაყვანის მცემელ- რამ ქართველ ხალხს მათთან თო არაფერი აქვს, არც ერთი ყვა მათი ქართველ ხალხს არ გია. მათ ლექსებში გარდა თა წამების მკითხველი ვერ- ბა, „ორსულიზმის“ „კატაფალ- და „მშიერ კატის“ ფილოსოფ- თველ ხალხს არ ესმის სხვაფრ- „ფუტურისტებს“ კალამი არ რით მაგრამ ისინი მაინც გამარჯვების ნაღარას და იძახ- ქართველო დავიპყარით, გას- ლიტერატურო წელს ვერაფ- ფერი შექმნა საინტერესო მხ- ჩვენ ვიყავით. საზოგადოთ ხი ხასიათდება თავის მკვეხ- და მეტიჩრობით, მაგრამ ქართ- ერმა მათთვის იცის ერთი თავის ქება კიტრად არა ღირ- კიტრი კიდევ ერთ კაპიკად- იქონ თავის თავი სანამ მოი- ბოდეთ ამ ცელქ კუნტრუ- ქართველ ხალხს არ უნდა მწერლობა რომელიც მის ენ- ლაპარაკობს და მის გონების თილშობილების და ამაღლების

ნანსთა მინისტრმა კ. კანდელაკმა ერთის მხრივ, და კომერს პელიკმა და ამბრონმა იტალო—კავკასიის ბანკის სახელით, გრაფმა ორლანდომ —სამოგადოება „ილვა“-ს სახელით, კომერსანტებმა სონანიბმ და დელ-კროპოსტომ „სოციეტ იტალიან-კორიალ კავკაზი“-ს სახელით—მეორეს მხრივ.

ტყვარჩელის ქვა ნახშირის რაიონი მდებარეობს სოხუმის ოლქში და დაშორებულია შავი ზღვიდან 50 კილომეტრით. გამოცდილ ტეხნიკოსების გამოკვლევით ამ რაიონში არის 200 მილიონი ტონი ქვა-ნახშირი, რომელიც თავის ღირსებით უდრის საუკეთესო კარდიფის ქვა-ნახშირს; ქვა-ნახშირი, პირდაპირ მიწის ზედაპირზე მოსჩანს.

აქედან ცხადია, რომ ეს რაიონი ახლო ხანში იტალიას მისცემს დიდძალ ქვა-ნახშირს.

ყველასათვის აშკარაა ასეთი ხელშეკრულების უდიდესი მნიშვნელობა რომელიც ამაგრებს გულითადს და მეგობრულს ურთიერთობას. ჩვენს ქვეყანასა და ახალგაზრდა და აყვავებულ საქართველოს რესპუბლიკის შორის, ამასთანავე ის არის ცნერგიული ნაბიჯი გადადგმული იმ მიზნით, რომ ჩვენი ქვეყანა განთავისუფლდეს ეკონომიურ მონობისაგან, რომლის უმნიშვნელოვანეს ფაქტორსაც წარმოადგენს ქვა-ნახშირის ნაკლებობა.

იტალია ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ის მთელი თავისი ძალღონით მიისწრაფის დიდ და პატარა ქვეყნების თანამშრომლობისაკენ, ისეთ თანამშრომლობისაკენ, რომელიც უზრუნველ ჰყოფს და მშვიდობიანი მუშაობის გზით კეთილდღეობის აღორძინებას. იგი ერთხელ კიდევ ძლიერი თავისი ორი ათასი წლის კულტურით და თავის შვილთა ტრადიციული მოღვაწეობით, მტკიცედ მიისწრაფვის—კვლავ გაკვალოს ღმოსავლეთისაკენ ის გზები, რომლებსაც იკვლევდნენ რომის გმირები და მის საზღვაო რესპუბლიკათა ხომალდები“.

# ნავთისთვის გაგზავნილი მატარებლების გამო.

(საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ვანყოფილებისაგან).

ვინაიდან საქართველოს სამარშრუტო მატარებლები, ორთქლმავლები და ბრიგადები, რომლებიც გაგზავნილნი იყვნენ ბაქოში ნავთის პროდუქტების მოსაზიდათ თანახმად 14 ნოემბრის და 5 დეკემბრის შეთანხმებისა, დაკავებულ იქნა რ. ს. ფ. ს რ. და ა. ს ს. რ მთავრობათა მიერ ა ს. ს: რ. ტერიტორიაზე, საქართველოს მთავრობამ რესპუბლიკის ინტერესთა დაცვის მიზნით და თანახმათ ურთიერთის მიზდვის პრინციპისა აღწერა და შეკრა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რ. ს. ფ. ს რ. და ა. ს. ს. რ ქონება იმ დრომდე, ვიდრე საქართველოს სამარშრუტო მატარებლები, ორთქლმავლები და ბრიგადები საქართველოში არ იქნებიან დაბრუნებული.

(ჩამოსულის ნაამბობიდან.)

ჩვენი ბრიგადების ძდგომარეობა ბაქოში.

აზერბაიჯანში დაკავებულ სამარშრუტო მატარებლების ბრიგადების მდგომარეობის შესახებ ბაქოდან ჩამოსულმა შემდეგი გვიამბო:

„აზერბეიჯანში ჩვენი სამარშრუტო მატარებლების დაკავების გამო დარჩა საერთოდ 120 კაცამდე სხვადა სხვა თანამდებობის პირნი. მათ უარი განაცხადეს აზერბაიჯანის რკინის გზებზე მუშაობაზე. ცხოვრობენ ყველანი ბაქოს სადგურზე (ბაქო მეორე) მესამე და მეოთხე კლასის ვაგონებში. ეძლევათ გირვანქა ნახევარი პური სულზე და ერთი კერძი საჭმელი. ჰყავთ არჩეული სამი წარმომადგენელი და მათი საშუალებით აქვთ დამოკიდებულება სრულ უფლებიან წარმომადგენელ ხუნდაძესთან. ყველანი კარგად არიან. ჩვენმა წარმომადგენელმა მისცა მათ დახმარება თითოეულს 3000 მ იქაურ სიძვირეში ეს ვერაფერს უშველის. წარმომადგენელს საკმაო თანხა არ აღმოაჩნდა, ამიტომ მან აღძრა ჩვენი მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რომ დაახმარებულთ ფული გაეგზავნათ, რაც ამ ჟამად უკვე შესრულებულია, სამშობლოს გარეშე დარჩენილნი ყველანი სწუხან ოჯახებზე და მოუთმენლად ელიან იმ დღეს როდესაც მიეცემათ საშუალება სამშობლოსაკენ წამოსვლისა. ეს ცნობები გადმოგვცეს: მელიტონ ცქიფურიშვილმა, ტაბატაძემ და კვირკელიამ, რომლებიც სალამს უგზავნიან ოჯახობას და მეგობრებს“.

# უცხოეთი.

რუსეთის საკითხი.

საფრანგეთის მთავრობის შეკითხვაზე ამერიკის მთავრობისადმი რუსეთის საკითხის შესახებ, ამერიკის მთავრობამ განაცხადა: „ამერიკის მთავრობა ერთხელ და საბოლოოთ აცხადებს, რომ იგი წინააღმდეგია საბჭოთა მთავრობის ალიარებისა, რომელიც ეყრდნობა არა ხალხის ნებას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ტერორს. ამერიკის მთავრობა დახმარებას არ გაუწევს თავის მოქალაქეებს რომლებიც დამოკიდებულებას დაიკავებენ მოსკოვის მთავრობასთან.

ქემალისტები.

ჟურნალ „დე-დება“ იუწყება: თანახმად სტამბოლიდან მოსულ ცნობებისა ქემალისტების მთავარ შტაბს გადაუწყვეტია, რომ სმირნისა და ბრუსის ფრონტზე მყოფ ჯარის რიცხვი 100.000 კაცამდე აიყვანონ. ჯარების ყველა სარდალს ებრძანათ ზემოაღნიშნულ ფრონტებზე გაგზავნონ თავისუფალი რეზერვი და სამხედრო იარაღები საბერძნეთის ჯარის წინააღმდეგ საჩქაროდ შეტევის დაწყების მიზნით. ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა ჯერჯერობით არ გამოამჟღავნოს მოლაპარაკების გათავებამდე შედეგები ანგორის მთავრობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებისა.

მუშების საბოტაჟის გამო.

ფრანგულ პრესას მოჰყავს მოსკოვის „პრავდიდან“ შემდეგი ამონაწერი: რადგანაც ეკატერინოსლავის სალითონო ქარხნის მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა და ეწეოდენ საბოტაჟს, ამიტომ საბჭოთა მთავრობამ გასცა განკარგულება რომ ქარხანა დაეკავებია სამხედრო რაზმს: მუშებს ებრძანათ, რომ 48 საათის განმავლობაში შეუდგენ მუშაობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშები და მათი ოჯახის წევრები დაპატიმრებული იქნებიან და ჩრდილო რუსეთის საკონცენტრაციო ბანაკში გაიგზავნებიან.

კავკასიური კომიტეტი

„ბოსფორი“ იუწყება: კონსტანტინოპოლში შესდგა „კავკასიური კომიტეტი“ რომელშიც შედიან ყაბარდოს, ოსეთის, ინგუშეთის და ჩერქეზების წარმომადგენლები. კომიტეტის მიზანია: შეადგინოს ოსმალეთში მყოფ ჩერქეზ ემიგრანტების ლაშქარი ჩრდილო კავკასიაში მყოფ ბოლშევიკთა წინააღმდეგ საბრძოლველათ კომიტეტმა ანტანტისა და ქემალისტების მიმართ სრული ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. ფიქრობენ, რომ „კავკასიურ კომიტეტის“ რაზმები შეუერთდება ყაზახების ორგანიზაციებსა და რაზმებს, რომლებიც ჩრდილო კავკასიაში ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძვიან. უკრაინის ეროვნულმა კომიტეტმა წინადადება მისცა „კავკასიურ კომიტეტს“ ანტიბოლშევიკური კავშირის შეკვრისა.

ინგლისის კომუნისტები.

არიტანიის პოლიციის დირექტორი ოფიციალურათ აცხადებს: წარსულ კვირაში ინგლისის კომუნისტებმა რუსეთიდან მიიღეს ერთ მილიონ გირვანქა სტერლინგათ ღირებული ბრილიანტები, რუსეთიდან ინგლისში შემოტანილ ბრილიანტა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ლონდონის ბაზარზე ერთ კარატ ბრილიანტის ფასი 35 სტერლინგიდან 18-მდე ჩამოვიდაო.

— ინგლისური პრესის ცნობით არგენტინაში მომხდარ მიწის ძვრის მსხვერპლთა რიცხვი უდრის 6.000 კაცს. ამ რიცხვში შედიან დახოცილები და დაჭრილები.

სნოუდენის წერილი.

„ტაიმს ვიკლი“ ბეჭდავს სნოუდენის წერილს ბოლშევიკებისა და სოციალისტების შესახებ. ამ წერილში ნათქვამია: ლონდონში მცხოვრებმა რუსმა სოციალისტებმა ბრიტანეთის მუშათა კლასს მიმართეს პროტესტით, ბოლშევიკების რეპრესიების გამო სოციალისტთა მიმართ. რუსი სოციალისტები სთხოვენ ინგლისელ მუშებს, რომ მათ მიიღონ რაიმე ზომა ბოლშევიკებზე ზედგავლენის მოსახდენათ. საბჭოთა რუსეთში სოციალისტ-რევოლიუციონერები და მენშევიკები, რომელნიც თავს სწირავდენ თავისუფლებისათვის ბრძოლასა და რევოლიუციის მონაპოვართა დაცვას, ამ ჟამად ციხეებში იხოცებიან ან მათ რუსეთიდან აძევებენ იმისათვის, რომ ისინი ბედავენ და კრიტიკას უკეთებენ საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობას. თუ ბრიტანეთის მუშებს სურთ რუსეთის დახმარება, მათ გავლენა უნდა მოიხდინონ მოსკოვის დელეგატებზე და მუშათა სოლიდარობის განსახორციელებლად უნდა აიძულონ ბოლშევიკები, რომ მათ შესწყვიტონ რუს-სოციალისტთა დევნა. საბჭოთა მთავრობასთან ყოველგვარ დამოკიდებულებისა უნდა იითხოვნილ იქმნეს, რომ რუსეთში არსებობდეს თავისუფლება სიტყვისა და პიროვნების ხელშეუხლებლობა.

ბოლშევიკებმა იმ გვარათვე უნდა უზრუნველყონ რუს-მოქალაქეთა თავისუფლება, როგორითაც ისინი უზრუნველყოფენ ამერიკელ კაპიტალის კონცესიონერების თავისუფლებას.

უკრაინის ჯარის ნაწილები.

გერმანულმა პრესამ მიიღო შემდეგი ცნობა: პოდოლიის გუბერნიაში გენ. პავლენკოს უკრაინელ ჯარის ნაწილები შეუერთდა რუსეთის მე-9 ლაშქრის ნაწილებს—გენ. ბობოშკოს მხედრებთა პირველ დივიზიასა და გენ. ტრუსოვის ყაზახთა დივიზიას. უკრაინისა და რუსეთის ჯარის ნაწილებს შორის მოხდა სრული შეთანხმება. გენ. პავლენკო ჯარისადმი მიმართულ ბრძანებაში აცხადებს, რომ მოკლე ხნის განმავლობაში მოხდა შეხვედრა და მტკიცე სამხედრო შეკავშირება უკრაინელებსა და რუსებს შორის. ეს გაერთიანებული ლაშქარი უკვე დაიძრა კიევისაკენ.

საბჭოთა რუსეთის შიკრიკები.

რევალის პრესა იუწყება: საბჭოთა რუსეთის შიკრიკებსა და რუსეთის დელეგაციას შორის, რომელსაც ლომანოსოვი მეთაურობს, იარაღით შეტაკება მოხდა ეს ამბავი იყო შედეგი მცირე უთანხმოებისა. სროლის დროს დაიჭრა რამოდენიმე პირი. ესტონეთის მთავრობამ დაიწყო ამ საქმის გამოძიება.

შაქრის ქარხნები.

უცხოელებმა და განსაკუთრებით კი ფრანგ კაპიტალისტებმა უკრაინაში შეისყიდეს მრავალი შაქრის ქარხანა საფრანგეთის მწარმოებლებმა იყიდეს ბელაია ცერკოვში-შაქრის 6 ქარხანა, სმელაში ბრინსკის ... კომპანიის ...

მემარჯვენე ესერთა კონფერენცია.

„ობშჩეე დელო“ იუწყება: პარიზში შესდგა მემარჯვენე ესერთა კონფერენცია. ამ კონფერენციაზე, რომელიც საინკოვის შეხედულებათ იზიარებდა, გადაწყვიტეს შეუდგენ ტერორისტულ მოქმედებებს. ამის გამო საბჭოთა რესპუბლიკის ზოგიერთ ადგილებში უკვე იფეთქა აჯანყებებმა, მაგრამ ეს აჯანყებები ჩააქრეს.

რუსეთი და ლატვია.

რიგა. 16 იანვარი, ლატვიის ელჩი ლეისმანი უარყოფს ხმებს იმის შესახებ, თითქოს რუსეთს აგრესიული მიზნები ჰქონდეს ლატვიის მიმართ.

რუსი ლტოლვილები ბულგარეთში.

ადესა. 15 იანვარი ბულგარეთის მთავრობა მიმართავს სასტიკ ზომებს რუს-ლტოლვილთა მიმართ. ექიმებს აეკრძალათ პრაქტიკა; ამოწმებენ, ყველა რუს ქალს. რუსებს იჭერენ და სახელმწიფოს შუაგულში აგზავნიან.

# შავი ზღვის რადიო.

(ბოლშევიკების ცნობები)

— რკინის გზებზე წესიერების დასამყარებლად შემოღებულ იქმნება ერთი კვირის ბევარა რკინის გზის რაიონებში

— თბილისში საგანგებო რაზმმა დაიჭირა ჩვენი ცენტრალ კომიტეტის საფულე კასები (?)

— ქემალისტები ირწმუნებიან, რომ ისინი ინგლისთან მოლაპარაკებას არ დაიწყებენ.

# ახალი ამბები.

ქართველ სტუდენტის დღე 26 იანვრისათვის ქართველ სტუდენტის დღის მოსაწყობათ შესდგა საგანგებო კომისია და უკვე შეუდგენ სამზადისს.

21/I ბათომის რკინის გზის დეპოს შენობაში რკინის გზელთა ყრილობის დელეგატებმა გააკეთეს მოხსენება ყრილობის შესახებ, რკინის გზელები ბრომათ დაესწრენ.

დაპატიმრება ბათომის მაზრის კომისრის დადგენილებით დაპატიმრებული და მოთავსებული არიან ბათომის საპყრობილეში თითოთვის ვადით:

— 12 იანვარს 1921 წ. ოსმან მემედ-ოღლი, როგორც შემჩნეული სხვა და სხვა ბოროტ მოქმედებაში, მავნე და არა საიმედო პიროვნება დღევანდელ წესწყობილებისათვის

— 2. 18 იანვარს 1921 წ. ისმაილ ფილავა, როგორც ბოროტ გამზრახველების შემნახავი მავნე და არა საიმედო პიროვნება დღევანდელ წესწყობილებისათვის

— 3. 19 იანვარს 1921 წ. სულეიმან მაქარ ოღლი, როგორც მავნე პიროვნება დღევანდელ წესწყობილებისათვის, დამრღვევი ხალხში მშვიდობიანობის და ქუჩაში რევოლვერს სროლისათვის.

თანახმად ექსპლოატაციის უფროსის განკარგულებისა მატარებელი № 22 ბათომიდან და № 21 თბილისიდან რომელიც დროებით მოხსნილი იყო სათბობი მასალის უქონლობის გამო დღეიდან ე. ი. 22/I ისევ მსვლელობაში იქნება. რომელზედაც იქნება სახალხო ვაგონებიც ბათომიდან გასვლით დამის პირველ საათზედ.

---

ლად გარყვნილებას და „სილოთეს უმღერს ეს ასეა მაგრამ ჩვენ გაგვაკვირვა ერთმა ვებერთელა წერილმა რუს. გაზ. „ეხო ბათომში“ ნ. მიწიშვილისამ, რომელსაც ჰგონია, რა თავი გამორჩეულად ამბობს ბათომში ჩვენ გამოვცით გაზ. „მთლიანი საქართველო“ ტიციანის სულაბერიძის და ჩემი რედაქტორობით სადაც პირველად ვახსენეთ ქართული ირედენტაო.

ჩვენ ვიციო, რომ „ბოლშევიკების“ მწერლებმა პირველად ჩაიდინეს ბათომში ეს „მეტიჩრობა“ და ხუმარებს ეს სასახელოდ მიაჩნიათ. სად არის მათი ტაქტი ან შორს მჭვრეტელობა როცა ბათომში შემოსვლის დღეებში ლაზისტანის ირედენტაზე ლაპარაკობდენ ამით ალბათ იმის თქმა უნდათ, რომ ლაზისტანის საკითხი მხოლოდ ჩვენთვის არსებობსო მაგრამ ვინ დაუჯერებს მათ? ლაზისტანის საკითხს იცნობს ქართველი ხალხი მის გადასაჭრელ გზასაც გამონახავს „მაგრამ“ ლაზისტანის ირედენტას წალმა უკულმა სროლას რომელსაც იმ დროს „ჩვენი ერისთვის ზიანის მოტანა შეეძლო მეტიჩარა ნოვატორები უნდა ერიდებოდენ.

შემთხვევით „შეერთებულ ხალხს უკეთ რომელიც ბაზარზე თავის თავის გამოტანას ეძიებს არ შეუძლია ქართველ ხალხს ეროვნულ პრობლემების დასახვა და განადგურება.

„ყანწელების“ ჰენიოსები პუბლიცისტიკაში ასეთ ნავარდს უნდა ერიდებოდენ.

მართლა არ იფიქრონ, რომ „ქიმერიონში“ ალქაჯების თუ ტიტველ მაგრამ ცისფერი თმის ქალებით განსაიერებული რევოლიუცია ხლეროფორმით დამთვრალ პამადა წაცხებ ხალხს ქართულ მწერლობას აბარებდეს,

ტყუილა ნუ იხარჯებიან და ნურც ხტუნავენ მათ ქართულ ლიტერატურაში. მთლიანი სახე ჯარასოლეს მიეცემათ და ისე გაჰქრებიან როგორც შარშანდელი თოვლი.

მაგრამ ვაცალოთ ცელქ მოვარჯიშეთ სახამ ცხოვრების სინამდვილე თავით თავად მოსტეხდეთ მათ კისერს.

ი. ლეჟავა.

მინაწერი.

გასულ წლის ღირს აღსანიშნავი იყო ქართულ ლიტერატურაში „გამარჯვებულ ყანწის მწერლების რუსულ ენაზე წერა და ყანწელების პოლიტიკაში ვარჯიში, „ირედენტას“ აღმოჩენით.

ი. ი.

## პატარა ფელეტონი

### მარო მდივნის ბენეფისი.

საბენეფისო სამზადისი ს. წ. მ. წ, გვიან დაიწყო, თუმცა შეპირებით ადრე შეპირდა, დაახლოვებით თვენა ხევრით ადრე ბენეფისზე ყველა საზოგადო მოღვაწეებმა (მაგ. მე მთავრობის თავმჯდომარემ, ინგლისელების კონსულმა და სხვა) მივიღეთ ლია ბარათი მარო მდივნის სურათით. შემთხვევით გავიგე, რომ ასეთი ბარათები მიუღია თითქმის ყველა სავაჭრო—სამრეწველო დაწესებულებებსა ბანკებს, ქალაქის გამგეობას, რედაქციებს და სხვას.

პლაკატები, „ლეტუჩკები". მოწოდებები ხომ უთვალავი იყო. მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა. არც ერთი კაცი არ მოსულა თეატრის სანახავად. სამაგიეროდ საღამოს თეატრი სავსე იყო, ყველა მარო მდივნის გამოსვლას ელოდა, აქა-იქ მოქალაქენი ჯიბეებსაც გაიკრავდნენ ხოლმე ხელს. მე მაშინვე ცოდვილმა აზრმა გამიელვა თავში: ალბათ ბევრი ხალხია და ეშინიათ საფულე არავინ ამოაცალოსთქო. ნამდვილად კი სხვა გვარათ ყოფილა საქმე: თურმე თავის წვლილს იღებდენ ბენეფიციანტის პატივსაცემათ

ჩვეულებისამებრ 11 საათზე ფარდა აიწია. დაიწყო „ილუზიი"

მე 3-მე ანტრაქტზე მილოცვები დაიწყო.

ს.-დ. კომიტეტის, ქალაქის გამგეობის, სახალხო სარმოდგენათა მართველი წრის, ქალთა წრის, ელექტრონის სადგურისა (ფეიფელოვის კი არა ქალაქის), წყალსადენის და სხვა მრავალ დაწესებულებების სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ვანიჩკა ჟორჟიკაიშვილმა მიართვა ქალაქის გამგეობიდან 50.000 მან. ქალთა წრიდან 25.000 მან., ამდენივე მოქალაქეთაგან და სახ. წარ. მარ. წრის სახელით დაფნის გვირგვინი. ამ უკანასკნელმა საჩუქარმა ძალიან გაახარა მარო, „მართალია ამ ბოლო ხანში დაფნა აღარ გაქვთ საზღვარ გარეთ და ფასი დაეცა—ამიხანა მარომ შემდეგ—მაგრამ ბორში ძალიან კარგია".

ახალგაზდა მარქსისტთა სახელით აკაკი ჭანდლულაძე მიესალმა მისი სიტყვა ძალიან მინდოდა ჩამეწერა, მაგრამ ისე ვღელავდი, რომ ვერაფერი ვერ ჩავიწერე,

მიულოცეს აგრეთვე ვალ. გუნიამ და ვანო ბარველმა

საუცხოვო ლექსი უძღვნა ბორია ჟურულმა.

ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ დაახლოვებით ასე სთქვა:

ჩვენო ტურფავ, ჩვენო კარგო,
ჩვენო მეგობარო,
გაიზარდე დიდი, ლიდი
ჩვენო პაწია მარო.
შენ ჩვენ სცენას ოცი წელი
ემსახურე, ჩქარო,
ბევრი ტიპი გააცოცხლე,
ცოცხლებს კლავდი მარო!
მე პირადათ ქკუას ვკარგავ
მინდა შეგიყვარო,
ჩემო ტურფავ, ჩემო კარგო,
მშვენიერო მ..

ამ დროს ბორიამ თვალი მოკრა რაღაც ბრჭყვიალობდა მაროს გვერდით ეს ვასო ურუშაძის თვალები იყო. რო ვალ. გუნიას არ დაეკავებია ვასო ეცემოდა ბორიას.

ამ გარემოებამ მუზა სრულიად გაუფრინა ჟურულს და რომ წყლიდან ამოსული მან ხერხს მიმართა:

— საქართველოს კომიტეტის სოციალისტ-ფედერალისტთა-პარტიულ-ბათომის მონდობით.. სახელით... მიიღეთ ეს...

და გაუწოდა ფულიანი კონვერტი. ვასოს ჭმუნვარე სახე ღიმილით შეიცვალა, ორიოდე ნაბიჯი წინ წამოდგა და ტკბილი კმაყოფილი ღიმილით ჩაბურღლბულა:

— ვითაარცა მე მარუსიას... მიმ. მარო მდივნის ქმარი, ვინაიდან, რომ ჩვენ ჯვარი დაგვწერა შალვა ლამბაშიძის მამამ, რომელმაც ვითაარცა წესია არ ინდომა 10 მანეთი და ვინაიდან განათლებული და ინტელიგენტი მსახიობი მოვალეთ ვრაცხეთვი და 15 მან. მივეცი, რითაც არა ერთხელ და ორხელ დამტკიცებული გულ უხვობა კვლავ დავამტკიცე. ამიტომ ვწირავ ფრონტის სასარგებლოთ შალვა ლამბაშიძის ბენეფისის მთელ შემოსავალს (ამ დროს ლამბაშიძის მუშტი მის გვერდეებს მოწიწებით შეეხო) უკაცრავათ, ბატონებო, ე. ი. შემეშალა, უკაცრავათ ლამბაშიძის კი არა მარო მდივნის ბენეფისის... მთელ შემოსავალს.„ კი არა, 50,000 მანეთს, რომ არავინ იფიქროს რომ მე ძუნწი და ლორ..

ბედზე ეს უკანასკნელი სიტყვები არავის გაუგონია, რადგან 50.000 ხსენებაზე საშინელი ტაში გაისმა.

წარმოდგენის შემდეგ გრ. აბაკელიას და გრ. ნუცუბიძის მეთაურობით ერთ მივარდნილ რესტორანში ქალაქის განაპირას გაიმართა მარო მდივნის პატივსაცემი ვახშამი (გერმანული ანგარიშით, რასაკვირველია) ვახშამი დაიწყო მემედ-ბეგის და ვალ. გუნის ვაჭრობის იმის შესახებ თუ ვინ იკისრებდა სუფრის თამადობასა, ვასო ურუშაძის დიპლომატიურ სიტყვისა და შალვა ლამბაშიძის მრავალჟამიერის" შემდეგ გამარჯვება მემედ-ბეგს ერგო და თამადობა ვალ. გუნიას დააკისრეს.

საუცხოვო თამადა ვალ. გუნია, მაგრამ ერთი ცუდი ზნე სჭირს რამდენ ახალ სადღეგრძელოს დალევს, იმდენ ახალსა და დიდის სასმისს მოითხოვს. ამის შედეგი იყო ის, რომ ვახშმის ინიციატორები გრ. აბაკელია და გრ. ნუცუბიძე შუა ვახშმობისას გაიპარენ. მართალია გრ. ნუცუბიძის შესახებ ბოროტმა ენებმა რაღაც ხმები დაყარეს, მაგრამ ლიერთმა იცის რომ იგი ამ საქმეში მართალია:

რაკი ვახშმის ინიციატორები გაიპარენ, მეც საგონებელში ჩავარდი. საჭმელს და ღვინოს წამდა უწუმ თხოულობდენ და გადამხდელი კი არავინ სჩანდა, პირველ მოხერხებულ შემთხვევისთანავე მეც გავიპარე.

გრ. სლუჩაიინი.

## სტამბოლის ცნობები.

(საკ. კორესპ.)

სტამბოლიდან მიღებულ სარწმუნო ცნობებით ოსმალეთში ყველგან დიდის ამბით ეგებებიან საქართველოს დელეგაციას.

— ქემალის პასუხისმგებელ წარმომადგენელს ქართველ კომერსანტისთვის განუცხადებია რომ ჩვენ არ გვგონია საქართველოს და ოსმალეთ შორის რაიმე უთანხმოება მოხდეს.

— ფრანგულ ცნობებით ინგლისელებმა ქემალთან მოლაპარაკების დაწყების დროს გვერდი აუარეს ფრანგებს, რის გამოც ფრანგები მეტად ნაწყენი არიან.

— ინგლისურ წითელი ჯვრის წარმომადგენლები ანატოლიაში მოქმედებას იწყებენ.

— ინგლისელებმა შავ ზღვაზე ბოლშევიკურ გემების მზვერავი ნაღმოსანი დააწყეს.

## მუშათა ცხოვრება.

მუშათა სასახლეში

კვირას, 23 იანვარს, 12 საათზე, მუშათა სასახლეში გაიმართება სიმფონიური დილა მემუსიკეთა საბენეფისო. ბილეთების ფასი ამ დილისათვის საბენეფისოა და ღირს 150 მანეთიდან 500 მანეთამდე. კავშირების წევრებისათვის 50 მანეთი ბილეთები იყიდება მუშათა სასახლეში.

### სეკრეტარიატში.

ქალაქის თვითმართველობის საბინაო განყოფილებისაგან სეკრეტარიატში შემოვიდა შემდეგი ცნობა:

„როგორც ბინების სტატისტიკურმა აღწერამ აღმოაჩინა, ქალაქის გამგეობის განკარგულებაში არის დაახლოვებით სულ 100 ოთახამდე მაშინ, როდესაც მოთხოვნილება სხვა და სხვა დაწესებულებათა მიერ აღემატება 300 ოთახს. ჯერ-ჯერობით ჩვენ შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ მხოლოდ ნორმალური მოთხოვნილების მესამედი ამიტომ ქალაქის გამგეობა გთხოვთ არა უგვიანეს იანვრის 22-სა წარმოადგინოთ თქვენი მინიმალური მოთხოვნილება".

სეკრეტარიატმა თავის მხრით აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ აუცილებელი საჭიროა 15 ოთახი იმ მომუშავეთათვის, რომელნიც სავსებით უბინაოთ იმყოფებიან.

— ქალაქის გამგეობისაგან სეკრეტარიატმა, მიიღო შემდეგი განცხადება:

„თანახმად ქალაქის გამგეობის დადგენილებისა, ამ მოკლე ხანში გადათვალიერებულ უნდა იქმნას ქალაქის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეთა შტატები, შემცირების მიზნით სათანადო კომისიაში მოწვეულ უნდა იქმნან წევრებად შრომის კომისარიატის, პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატის, სახალხო გვარდიის და ქალაქის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის წარმომადგენლები.

ამის გამო ქალაქის გამგეობა სთხოვს სეკრეტარიატს დანიშნოს აღნიშნულ კომისიის წევრად თავისი წარმომადგენელი და ამის შესახებ დაჩქარებით აცნობოს ქალაქის გამგეობას".

სეკრეტარიატმა თავის წარმომადგენლათ ამ კომისიაში დანიშნა ამხ. გრ. აიოლი, რაც ეცნობა ქალაქის გამგეობას.

სეკრეტარიატის წარმომადგენელმა, რომელიც დანიშნული იყო „კავკაზ მერკურის" სომეხ მუშების კავშირის წევრებათ არ მიღებისა და სამუშაოზე არ დაშვების მიზეზის გამოსარკვევათ, შეთანხმება მოახდინა სანაპირო მუშათა პროფესიონალურ კავშირთან და კავშირის გამგეობა მიიღებს ზომებს, რომ ისინი იქმნან ჩაწერილი კავშირის წევრებათ და სამუშაოზე დაუშვებელნი თუ ვინმე მათგანი არ იმყოფება სხვა სამუშაოზე.

— შრომის ბირჟის გამგისაგან სეკრეტარიატში შემოვიდა განცხადება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ზოგიერთი კავშირები არღვევს წესრიგს სამუშაოზე გაგზავნის შესახებ და ისინი ბირჟის დაუკითხავათ აგზავნიან მუშა-მოსამსახურეებს ადგილებზე. ამისათვის ბირჟის გამგე სთხოვს სეკრეტარიატს მიიღოს ზომები, რათა შემდეგში არ იქმნას კავშირების მიერ დარღვეული შრომის ბირჟის კანონი და ამ მიზნით შრომის ბირჟის გამგის თანდასწრებით, მოიწვიოს ასეთი კავშირებისაგან წარმომადგენლები ამ საკითხის მოსაგვარებლად.

— თამბაქოზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის წევრის „ბინიატოვის" თამბაქოს ქარხანაში მომუშავეს ლევინისაგან სეკრეტარიატში შემოვიდა თხოვნა, რომლითაც სთხოვს სეკრეტარიატს აღმოუჩინოს მას დახმარება რათა სახლის პატრონმა ის არ გამოაგდოს ოთახიდან და არ დარჩეს უბინაოდ, რადგანაც სახლის პატრონი ყოველივე ზომებს ხმარობს მისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად.

### ბეჭვდით კავშირში.

18 იანვარს ბეჭდვითი საქმის კავშირის სარევიზიო კომისიამ მოახდინა რევიზია კავშირის 1920 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშისა, რომელმაც ხელი მოაწერა და დაამტკიცა.

რევიზიამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ რამოდენიმე წევრებს არ გადაუხდიათ ორი სამი თვის საწევრო გადასახადი და საჭიროდ დაინახა მიეცეთ მათ უკანასკნელად წინადადება, რათა შემოიტანონ ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულად ჩაითვლებიან და სამუშაოდან მოიხსნებიან.

ამ ახლო ხანში მოწვეული იქნება საერთო კრება, რომელმაც უნდა დაამტკიცოს 1920 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა და აირჩიოს ახალი გამგეობა.

ბეჭდვითი კავშირმა გართულებულ ცხოვრების პირობების გამო საჭიროდ დაინახა მიმართოს მწარმოებლებს, რომ მათ გაიღონ შესაფერი თანხა პირველ მოთხოვნილების საგნების შესასყიდლად და მუშებისათვის განაწილებლად ფასით, ამის გამო, თუ შეთანხმება მოხდა მესტამბეთა და მუშებს შორის, განზრახულია არჩეულ იქნეს ორივე მხარისაგან გამანაწილებელი ბიურო, რომელიც სათავეში ჩაუდგება ამ საქმეს და ცოტათ თუ ბევრათ ამით შესძლებას მისცემს მუშებს ბაზრის ფასებთან შედარებით უფრო ნაკლებ ფასში მიიღონ სანოვაგე.

### სავაჭრო-მრეწველობის პრ. შირში.

სავაჭრო-მრეწველობის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობამ გაარჩია გეგენავას და საბაევს შორის მომხდარი კონფლიქტი, რომელიც გამოიხატებოდა შემდეგში:

გეგენავა მთელი 18 წლის განმავლობაში მსახურებდა საბაევთან და თათრების ბათუმში შემოსვლის დროს მას მოუხდა ბათუმიდან წასვლა და როდესაც ის დაბრუნდა ადგილი აღარ იქმნა დაშვებული, რისთვისაც გეგენავამ მოსთხოვა ნამსახური წლების ჯილდო, მაგრამ ის არ იქმნა დაკმაყოფილებული იმ ნორმით რომელიც მას ეკუთვნოდა და ამისათვის გეგენავამ საჩივარი აღძრა ინგლისელების დროს არსებულ შრომის ინსპექტორის წინაშე, მაგრამ რაღაც მიზეზებისა გამო უკურადღებოთ დარჩა დატოვებული ამის გამო გეგენავამ მიმართა მომრიგებელ კამერას, მაგრამ ამ უკანასკნელმაც უარით გაისტუმრა იმ მიზეზით, რომ ნამსახური წლების ჯილდოს ნორმები დაწესდა მხოლოდ გეგენავას ადგილის დაკარგვის შემდეგ და ამასთან ერთად მომრიგებელი კამერის გადაწყვეტილების თანახმად, 1920 წლის ადრე მომხდარი კონფლიქტები კამერაში არ ირჩევათ.

მიუხედავათ ზემოთ აღნიშნული მიზეზებისა, გამგეობამ გეგენავას თავის გადაწყვეტილებით მიუსაჯა წლების ჯილდოთ 100.000 მანეთი რაც საბაევის მიერ დაკმაყოფილებულ იქმნა.

ამ ბოლო ხანებში გამგეობამ შემოდის სავაჭრო-სამრეწველოს მუშა-მოსამსახურეებისაგან მრავალი განცხადებები, რომელშიაც ისინი თხოულობენ საჭირო ზომების მიღებას პურის რაციონის შეწყვეტის გამო დანაკლისის შევსების შესახებ რადგანაც მათ 5 დღეშიაც არ ყოფნიან ის ჯამაგირები, რასაც ისინი ღებულობენ.

გამგეობამ ამის შესახებ იქონია მსჯელობა, აღნიშნა მათი მდგომარეობა და გამოიტანა კიდევ თავისი დადგენა, მაგრამ გამგეობას საჭიროდ მიაჩნია დაიცადოს მანამდის, სანამდის ამის შესახებ შეიმუშავებდეს რაიმე ზომებს კომისია, რომელიც საბჭომ აირჩია 2 იანვრის სხდომაზე და საბჭო მიიღებდეს რაიმე გადაწყვეტილებას.

გამგეობას ეცნობა, რომ 3. ქრისტეთა საზოგადოებაში მოსამსახურე სახნოვი ასრულებდა ერთ და იმავე დროს დარაჯისა და პაკეტების მიტანა-მოტანის მოვალეობას და ჯამაგირს ღებულობდა თვეში მხოლოდ 400 მანეთს, ამის გამო გამგეობამ აღნიშნულ საზოგადოებას გაუგზავნა მიწერილობა, რათა სახნოვისათვის მიეცათ ჯამაგირი 8800 მანეთი რაზედაც გამგეობამ მიიღო თანხმობა.

რედაქტორი ქ. ჟავთარაძე.

## საღვინე გასტრონომიული მაღაზია

## იყიდება

დაწმენდილ დაცდილი ღვინო. იამაის რომი კონიაკი „IMPERIAL"

და სხვა და სხვა სასმელები მაღალი ღირსებისა

სავაჭრო სახლი ქმ. სესიაშვილებისა და ამხ.

25—9

ელექტრო მბეჭდავი სტამბა ს. მ. ხმალეცკისა, მიხაილოვის, ქ. №21 ბათუმი.